

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

13 აპრილი 2019 წ.

თბილისი

№ 2/68/03

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების“ მე-14 მუხლის შესაბამისად და “აბიტურიენტებისათვის/სტუდენტებისათვის მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე” საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 11 მარტის №272 ბრძანების გათვალისწინებით,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნენ შემდეგი მოქალაქეები:

1. ბასილ ათეფ აბდელჰაფეეზ ალშავაბკეჰ- იორდანის ჰაშემიტური სამეფოს მოქალაქე;
2. ფერას გჰასსან ჰასან ოდეჰ- იორდანის ჰაშემიტური სამეფოს მოქალაქე;
3. მალეკ ზიად ღალეზ ზაჰრანალკისვანი- იორდანის ჰაშემიტური სამეფოს მოქალაქე;
4. აბდალლაჰ რეზეჟ აჰმად ალსააფეენ- იორდანის ჰაშემიტური სამეფოს მოქალაქე;
5. ანგელ სარა ტანგამუნი- ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე;
6. მაჰანამა გიგანა გამაგე დეშანი რასოღია მაჰანამა- შრი-ლანკას დემოკრატიული, სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქე.


2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტებს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროთ 2019 წლის 05 აპრილამდე.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე და ჩარიცხული სტუდენტის სწავლების კურსის განსაზღვრა დაევალოს მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტის დეკანს დ.თოფურიას

4. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

5. ბრძანება ეგზავნება ვიცე-რექტორს ხ. თოდაძეს, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს თ. კილასონიას, თსსუ-ს მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტის დეკანს დ. თოფურიას, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახურის უფროსს თ. სტეფანიშვილს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ეკონომიკურ დეპარტამენტს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.



პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი